

2021-2022 წწ. სეზონის საშეჯიბრო დებულებაში (დანართი 5 – „ა“ ლიგა) ცვლილების შეტანა

როგორც მოგეხსენებათ, „ა“ ლიგის გათამაშების სისტემა ამჟამად ითვალისწინებს ორთამაშიან ფლეიოფებს მეოთხედფინალის და ნახევარფინალის სტადიაზე (საშეჯიბრო დებულების დანართი #5, მუხლი 3.3).

არსებულ პირობებში (კოვიდ-პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების და რისკების გათვალისწინებით), ეს სისტემა სცდება დაგეგმილ ვადებს და აფერხებს 20-წლამდელთა ნაკრების მზადებას ზაფხულის ტურნირებისთვის. მაგალითად, წელს 20-წლამდელთა ნაკრები მიწვეულია არაოფიციალურ ტურნირზე, რომელშიც მონაწილეობას იღებენ 6 ერის ქვეყნები და სამხრეთ აფრიკა.

„ა“ ლიგის გათამაშების სტანდარტულად გამართვის შემთხვევაში, ტურნირი დასრულდება 20 მაისს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ფლეიოფში გაიმართება თითო თამაში (როგორც ეს შარშან გაკეთდა), ტურნირი დასრულდება 1-2 მაისს, მორაგბეები აღდგენას მოასწრებენ და 20-წლამდელთა ნაკრებს მოსამზადებლად დამატებით 2 კვირა მიეცემა.

ოპერაციების დირექტორატს და საშეჯიბრო სამსახურს მიაჩნიათ, რომ ერთთამაშიანი ფლეიოფი უფრო პრაქტიკულია და ამ ფორმატზე გადასვლა სამომავლოდ კარგი იქნება. იგივე მოსაზრებას იზიარებენ კლუბები, რომლებთანაც სრკ-ს შესაბამისმა თანამშრომლებმა კონსულტაცია გაიარეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გთავაზობთ, რომ ამ ეტაპზე 2021-2022 წწ. სეზონის საშეჯიბრო დებულების დანართი #5 პუნქტი 3.3.2 დარედაქტირდეს შემდეგნაირად:

*3.3.2. მეოთხედ-ფინალსა და ნახევარ-ფინალში წყვილები **თითოჯერ** თამაშობენ. მასპინძელია რეიტინგის მიხედვით უკეთესი ადგილის მქონე გუნდი. ბონუსები არ ირიცხება.*

გთხოვთ თქვენი პასუხი გამოგვიგზავნოთ ელექტრონული ფოსტით არაუგვიანეს 2022 წლის 5 აპრილისა (სამუშაო საათების დასრულებამდე).

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
საქართველოს რაგბის კავშირის
გამგეობის
2022 წლის 6 აპრილის
გადაწყვეტილება
(დისტანციური)

2021 წლის 6 აპრილს საქართველოს რაგბის კავშირის (რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 00015/12/0013, 25/01/1999 წ.; საიდენტიფიკაციო კოდი: 204874911) გამგეობის ქვემოთ დასახელებულმა წევრებმა დისტანციურად (ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) გამოთქმული თანხმობით მიიღეს გადაწყვეტილება 2021-2022 წწ. სეზონის საშეჯიბრო დებულების დანართი # 5-ში: „ა“ ლიგა - ცვლილების შეტანის თაობაზე.

განსახილველი საკითხი გამგეობის წევრებს წარუდგინა გამგეობის თავმჯდომარემ დავით კაჭარავამ.

განსახილველი საკითხი:

2021-2022 წწ. სეზონის საშეჯიბრო დებულებაში (დანართი 5 – „ა“ ლიგა) ცვლილების შეტანის თაობაზე

გამგეობის წევრებს პირად ელექტრონულ ფოსტაზე გაეგზავნათ განმარტება 2021-2022 წწ. სეზონის საშეჯიბრო დებულებაში (დანართი 5 – „ა“ ლიგა) ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

გამგეობის წევრთა უმრავლესობამ (7 წევრი) წერილობით, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, განაცხადეს თანხმობა წარმოდგენილი დებულების დამტკიცებაზე.

ვინაიდან გამგეობის ქვემოთ დასახელებულმა წევრებმა **გადაწყვეტილება** მიიღეს დისტანციურად, მართვის ელექტრონული საშუალებით გამოთქმული თანხმობების მეშვეობით, გამგეობის სრული შემადგენლობის უმრავლესობით, იგი შევიდა ძალაში იმ დღიდან, როდესაც გამგეობის წევრთა უმრავლესობისათვის საჭირო ბოლო თანხმობა იქნა მიღებული გამგეობის მდივნის ელექტრონულ ფოსტაზე - **2022 წლის 6 აპრილს.**

გადაწყვეტილების მიმღები გამგეობის წევრები:

- დავით კაჭარავა (დაბადებული 06.09.1975 წ.; პირადი № 01035000140)
- გრიგორ ქერაშვილი (დაბადებული 16.03.1956 წ.; პირადი № 35001058678)
- მერაბ ანთაძე (დაბადებული 04.08.1952 წ., პირადი № 01005001907)
- გელა ქობულაძე (დაბადებული 30.04.1986 წ.; პირადი № 61006019618)

- გივი ჭიჭინაძე (დაბადებული 02.07.1959 წ.; პირადი № 01009002077)
- ლაშა ხურციძე (დაბადებული 13.02.1975 წ.; პირადი № 01008014751)
- აკაკი დავითულიანი (დაბადებული 01.06.1975 წ., პირადი № 12001031106)

გამგეობის წევრთა დისტანციურ კომუნიკაციას ორგანიზება გაუკეთა და გადაწყვეტილება მოამზადა კავშირის გამგეობის მდივანმა ნატალია კურტანიძემ